



REMISIL

არტ.-No. 4 06410

ბეტონის გამჟღენთი გამხსნელის გარეშე

CE	
SCHOMBURG GmbH & Co. KG Aquafinstrasse 2 –8 D-32760 Detmold 13 4 06410	
EN 1504-2 REMISIL Surface protection product - Impregnation Principle 1.2 Protection against substance penetration	
Penetration depth	Class I < 10 mm
Capillary water absorption and water permeability	w < 0.1 kg/m ² × h ^{0.5}
Reaction to fire	Class F
Dangerous substances	NPD

NPD = „No Performance“

REMISIL-ის წასმა უნდა მოხდეს თხელ ფენად და თანაბრად მთლიან ფართზე, მოსაგლუვებელი კომპონენტის ან დუღაბის გამაგრებიდან დაახლოებით 12-14 საათის შემდეგ. გამოიყენება შემდეგი სამუშაო ინსტრუქციები.

ტექნიკური მონაცემები:

- ფერი: რძისფერი
- კონსისტენცია: სითხე
- სიმკვრივე: 1.0 გ/სმ³
- ტემპერატურა
- მოხმარებისას: +5 °C -დან +25 °C-მდე
- მოხმარება:: დაახლ. 80–140 მლ/მ²
- ქვენაფენი შრიდან გამომდინარე
- ყინვაგამძლე, მინ. 12 თვე, თავდაპირველ გაუხსნელ კონტეინერში. გახსნილი კონტეინერები მალევე გამოიყენეთ
- შეფუთვა: 1,000 ლ კონტეინერი
- 210 ლ კასრი
- 25ლ კასრი
- 10 ლ ზოთლი
- 1 ლ ზოთლი

REMISIL არის პოლიმერული ბეტონის გამჟღენთი. ბეტონის ნაწარმის ამტანობა გარემოს დაბინძურების მიმართ მნიშვნელოვნად იზრდება REMISIL-ით დამუშავების შემდეგ. დამუშავებულ ზედაპირზე ძნელად აღწევს სითხე და ჭუჭყი. REMISIL ქმნის სველი ატლასის ეფექტს დამუშავებულ ზედაპირზე, რაც ჭუჭყის ადვილად მოცილების საშუალებას იძლევა.

გამოყენების არეალი:

REMISIL სპეციალურად გათვლილია ბეტონის პროდუქციისთვის, როგორცაა მოსაკირწყველი და ბორდიურის ქვები, მოსაკირწყველი ფილები, და ასევე დეკორატიული ბეტონი არაკონსტრუქციულ ადგილებში. ქვენაფენი შრე უნდა იყოს შემწოვი. არ გამოიყენოთ ქვენაფენი შრეები გრუნტზე ან გაპრიალებული ქვენაფენი შრეები (არსებობს ზოლების გაჩენის საშიშროება). REMISIL-ის წასმა შეიძლება როგორც სველ, ისე მშრალ მხარეს.

გამოყენების კიდევ სხვა არეალი:

ჩანართების შეკეთება, შეკეთება და მოგლუვება ისეთი ბეტონის, რომელიც შესრულებულია დუღაბით და მოსაგლუვებელი კომპონენტებით (ცემენტის საფუძველზე), ხშირად მიდრეკილია დაკრისტალეზისკენ დამუშავებულ ადგილებზე. REMISIL-ით შესაძლებელია ამ მოქმედების ნეიტრალიზება. დაკრისტალეზის ტენდენციას შიძლება ხელი შეემალოს REMISIL-ის დამატებით.

პროდუქტის გამოყენება:

REMISIL მოწოდებულია გამოსაყენებლად მზა ფორმით, და თანაბრად ნაწილდება დასამუშავებელ ადგილებზე ფუნჯის ან შესაბამისი დაწნევიანი შესასხურებელი მოწყობილობის გამოყენებით. გამოყენებისას ყველანაირად მოერიდეთ დაგუბებას. დასამუშავებელი ქვენაფენი შრე სრულად უნდა გასუფთავდეს ჭუჭყის, მტვერის, ასევე ხავსისა და წყალმცენარეებისგან და ყველანაირი არაერთგვაროვანი საფარისგან. ამ მიზნით, გირჩევთ ASO-R005-ს, ჩვენ მაღალ-ეფექტურ ქვების საწმენდს, რომელიც დაფუძნებულია სწრაფად ბიოდეგრადირებად ორგანულ მჟავაზე. REMISIL-ის წასმამდე, ქვენაფენი შრე უნდა იყოს მქრქალად სველი. REMISIL-ის გამოყენება ასევე შესაძლებელია ახლად წარმოებულ, ე. წ. „მწვანე“ ბეტონზე. მოერიდეთ მზის სხივების ინტენსიურ ზემოქმედებას და წვიმას წასმისას, ხოლო წასმის შემდეგ - კიდევ 3 საათი. გაშრობის დრო დაახლ. 1 საათია 20°C-ზე და მშრალ ქვენაფენ შრეზე. დამუშავებულ ფართზე ფეხით გადასვლა, მისი სრული დატვირთვით გამოყენება და მასზე საწვევლას მოძრაობა, უკვე შეიძლება დაახლ. 24 საათის შემდეგ.

REMISIL

მნიშვნელოვანი რეკომენდაცია:

- მაღალი წნევის სარეცხი მანქანის გამოყენებამდე, განსაზღვრეთ მისი ზემოქმედება პროდუქტზე შეუმჩნეველ ადგილას.
- მოერიდეთ დაგუბებას და ზევი ან მძიმე ტვირთის გადაადგილებას.
- კარგად გაასუფთავეთ ქვენაფენი შრე REMISIL-ის წასმამდე.
- მოარიდეთ მზის სხივების ინტენსიურ ზემოქმედებას წასმისას, ხოლო წასმის შემდეგ - კიდევ 3 საათი.
- არ გამოიყენოთ რეზინის მფანტავი.
- პირველად წაუსვით საკვლევი უბანზე!

მონიტორინგი/აკრედიტაცია:

ზედაპირის დამცავი პროდუქტი / გამჟღენთი EN 1504-2-ის პუნქტი 1.2-ის - ნივთიერებების შეღწევისგან დაცვა - მიხედვით

გთხოვთ, დაიცვათ ევროკავშირის ამჟამად მოქმედი უსაფრთხოების ნორმები.

This technical data sheet is a translation from German and does not consider local building codes or legal requirements. It shall be used as general reference for the product. Legally binding is only the German technical data sheet or the latest Data sheet from one of our foreign subsidiaries inside their sales territory.